

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის #006/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ მალაზონია (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

მინდობილობის საფუძველზე ადვოკატი დაჰპირდა კლიენტს, რომ გაუწევდა მომსახურებას მიწის ნაკვეთის მიტაცებასთან დაკავშირებით, რისთვისაც ჰქონოდა სახით მიიღო 500 ლარი. კლიენტის განცხადებით ადვოკატმა მას მოსთვია დამატებით 1000 ლარიც მორიგების მიზნით მოწინააღმდეგე მხარისთვის გადასაცემად, თუმცა ეს თანხა მას არც მეორე მხარისთვის გადაუცია და არც კლიენტისთვის დაუბრუნებია, ისევე, როგორც საქმის მასალები. ამ ხნის მანძილზე კლიენტი ადვოკატს უკავშირდებოდა მობილურით თუმცა მისგან მხოლოდ მოკლე ტექსტურ უხეშ შეტყობინებებსა და სიტყვიერ შეურაცხოფას ლებულობდა. ადვოკატის განცხადებით კლიენტის საქმის მასალები არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი, აღნიშნული ადვოკატს არ მიაჩნია დედნებად. ის ადასტურებს რომ მიიღო 500 ლარი და საქმე მორიგებით დაასრულა კიდევ. თუმცა მას არ მიუღია დამატებით 1000 ლარი. ადვოკატის განმარტებით კლიენტი მას სთხოვდა მომსახურებას სხვა საქმეზეც, რაზეც მან ის უარით გაისტუმრა, კლიენტი არ ეშვებოდა ადვოკატს, რამაც გამოიწვია მისი გაღიზიანება და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით უხეშად პასუხი, რასაც ადვოკატი აღიარებს რომ არ უნდა ეკადრებინა.

პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას საჩივრის მომართა კლიენტმა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და დოკუმენტაციის დაბრუნების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრა, რომ ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად წარმართვა, რის სანაცვლოდაც ადვოკატი იღებს ჰონორარს, აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე ადვოკატი სრულფასოვნად მოემსახურა კლიენტს და ჰონორარიც მიიღო. საქმეში წარმოდგენილია მოკლე ტექსტური შეტყობინება თუმცა, მასში არ არის მითითებული კონკრეტული თანხა და არც დასტურდება მისი მიმოწერის ავთენტურობა. შესაბამისად, აღნიშნული, განხილვის კოლეგიის მიერ ვერ მიიჩნევა უდავო მტკიცებულებად და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად. ადვოკატს მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ თანხა არ მიუღია, ვერ დაეკისრება

დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, არ დასტურდებოდა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და აპეკ-ის 8.15 მუხლების დარღვევა. შესაბამისად, ადვოკატს არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.